არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "კეთილმოწყობის მართვის ცენტრი"

ბრძანება:**ბ11. 24242757**

თარიღი:**01/10/2024**

ელექტრონული აუქციონის ფორმით მოძრავი ქონების პრივატიზებისას საბანკო გარანტიისა და ბიჯის თანხის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 აგვისტოს **N50** და **N51** დადგენილებების საფუძველზე ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიეცა თანხმობა ელექტრონული აუქციონის ფორმით განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ტელესკოპური ამწე კალათას **MERSEDES BENZ SPRINTER CDI 311,** სარეგისტრაციო ნომერი **OO 608 SS** და მცირე ტვირთამწეობის სატვირთო თვითმცლელის **FORD TRANSIT,** სარეგისტრაციო ნომერი **AA 649 RA,** პრივატიზება და განისაზღვრა მათი საწყისი საპრივატიზებო საფასური.

2024 წლის 16 სექტემბერს დაშვებული **N ბ11.242460001** ბრძანებით შეიქმნა მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია, რომელსაც დაევალა ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების ორგანიზება.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 დეკემბრის **N669** დადგენილებით განსაზღვრულია ქონების ელექტრონულ აუქციონზე გატანის მიზნით, ქონების შეძენით დაინტერესებული პირის მიერ გადასახდელი საგარანტიო თანხის/ბეს და ვაჭრობის დაწყებისას ქონების საწყის საპრივატიზებო საფასურზე დასამატებელი თანხის-ბიჯის ოდენობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელე „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 დეკემბრის **N669** დადგენილებით, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-სათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 აგვისტოს **N50** და **N51** დადგენილებებით და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს წესდების **მე-4** მუხლის **მე-3** პუნქტის **„თ“** ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 აგვისტოს **N50** დადგენილების **(**„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-სათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“) კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს (შემდგომში ბრძანების ტექსტში-ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“ ან/და „ცენტრი“) საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ტელესკოპური ამწე კალათას **MERSEDES BENZ SPRINTER CDI 311,** სარეგისტრაციო ნომერი **OO 608 SS,** პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 აგვისტოს **N50** დადგენილების საფუძველზე მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა განისაზღვროს **20 000 (ოცი ათასი)** ლარის ოდენობით.

3. ქონების შეძენით დაინტერესებული პირი, ელექტრონულ აუქციონში მონაწილების დარეგისტრირების უზრუნველსაყოფად ვალდებულია გადაიხადოს საგარანტიო თანხა/ბე, რომლის ოდენობა განისაზღვროს უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის **20%-ის** ოდენობით (რაც თანხობრივად შეადგენს **4 000 ლარს),** რომლის წარდგენაც შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.

4. ამ ბრძანების **მე-3** პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის ვადა არანაკლებ **10 (ათი)** დღით

უნდა აღემატებოდეს ელექტრონული აუქციონის დასრულების ვადას.

5. საგარანტიო თანხის/ბეს ჩარიცხვა განხორციელდეს აუქციონატორის-ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს ანგარისწორების ანგარიშზე:

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს საიდენტიფიკაციო კოდი: 420427078

მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი: TRESGE022

ანგარიშის ნომერი-სახაზინო კოდი:10 1001000

6. ამ ბრძანების **მე-3** პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის ვადა არანაკლებ **10 (ათი)** დღით უნდა აღემატებოდეს ელექტრონული აუქციონის დასრულების ვადას.

7. აუქციონის დასაწყებად საწყის საპრივატიზებო საფასურზე დასამატებელი თანხის-ბიჯის ოდენობა განისაზღვროს **300 (სამასი)** ლარით.

8. ბრძანება გასაცნობად წარედგინოთ:

- მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს-(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს ადმინისტრაციის უფროსს გიორგი კვარცხალაიას;
- მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მდივანს-ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მთავარ სპეციალისტს ადამანური რესურსების მართვის და იურიდიულ საკითხებში მაკა ჯაბუას;
- მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის წევრს-ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს შესყიდვების განყოფილების უფროსს ეკა გერანტიას;
- მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის წევრს-ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსს მზიანა ბურღაშვილს;
- მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის წევრს-ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარ სპეციალისტს საფინანსო და ეკონომიკურ საკითხებში როლანდ ღურწკაიას;

9. ელექტრონული აუქციონის ჩაშლის შემთხვევაში მუდმივმოქმედმა სააუქციონო კომისიამ უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადაგადაცილებული ან/და განმეორებითი აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარება.

10. ბრძანების დაშვების თაობაზე ინფორმირებულ იქნენ:

- ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს ტრანსპორტისა და ტექნიკა-დანადგარების განყოფილების კურატორი-ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს დირექტორის მოადგილე კობა კვარაცხელია;
- ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს ტრანსპორტისა და ტექნიკა-დანადგარების განყოფილების უფროსი კობა ქირია;

11. ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მთავარმა სპეციალისტმა საქმის წარმოების და დოკუმენტბრუნვის საკითხებში, ნანა ჯახიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების **მე-8 და მე-9** პუნქტების შესრულება.

12. კონტროლს აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს **180-ე** მუხლის პირველი ნაწილისა და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს **22-ე** მუხლის **მე-3** ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ზუგდიდი, რ. ლაღიძის N12).

საფუძველი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 აგვისტოს **N50** და **N51** დადგენილებები და ა(ა)იპ „კეთილმოწეყობის მართვის ცენტრი“-ს შესყიდვების განყოფილების უფროსის ეკა გერანტიას მოხსენებითი ბარათი, დათარიღებული 2024 წლის 01 ოქტომბრით

დიმიტრი ფაცაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - კეთილმოწყობის
მართვის ცენტრი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი